



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N15

ქ. მარნეული

31.08.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, ომარ ირიშოვი, ადილ გურბანოვი, ივანე ხალულაშვილი.

არ ესწრებოდა:

ზურაბ ფანგანი, ილხამ გასანოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, გეიდან მუსაევი, როვმან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **როინ დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **თემურ შუბითიძე**, ამავე სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დავით ხარშილაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი სპეციალისტი **მარიამ კაპანაძე**,

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-ს და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 20 აგვისტოს N07-3221232109 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
3. სოციალური საკითხები.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 აგვისტოს N32-3221232156 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საწვავის ლიმიტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N56. 31.08.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა დავით ხარშილაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 23 აგვისტოს N32-322123516 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 20 აგვისტოს N07-3221232109 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მულის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და საპრივატიზაციო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N55. 31.08.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თემურ შუბითიძემ საკრებულოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულაციები და ითხოვა პოლიტიკურმა პარტიებმა და საარჩევნო სუბიექტებმა დაიცვან, როგორც ის აკრძალვები, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტმა მიიღო აგიტაციის მასალის არასათანადო ადგილზე განთავსებაზე, ასევე არჩევნების დასრულების შემდეგ, კანონით დადგენილ ფარგლებში მათ ჩამოხსნაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეთხუთმეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე